

მოწყობილობის დანიშნულება

მონობლოკი არის პერსონალური კომპიუტერის სახეობა, რომელიც განკუთვნილია გართობისთვის, სწავლისთვის, მუშაობისა და სხვადასხვა ტიპის ამოცანების გადასაჭრელად.

უსაფრთხოების ზომები

- გამორთეთ მონობლოკი და გათიშეთ იგი კვების წყაროდან მის გაწმენდამდე, აგრეთვე პერიფერიული მოწყობილობების მიერთებამდე ან გამოერთებამდე.
- მოწყობილობის გასაწმენდად არ გამოიყენოთ თხევადი ან აეროზოლური საწმენდი საშუალებები. კორპუსის გასაწმენდად გამოიყენეთ წყლით ოდნავ დასველებული რბილი ქსოვილი, ხოლო ეკრანისთვის — LCD დისპლეებისთვის განკუთვნილი სპეციალური ხელსახოცები ან მშრალი რბილი ქსოვილი.
- არ დატოვოთ მონობლოკი მზის პირდაპირი სხივების ქვეშ ან სითბოს წყაროებთან ახლოს.
- მოარიდეთ მონობლოკი ზედმეტად მაღალი და ზედმეტად დაბალი ტემპერატურის ზემოქმედებას.
- მოერიდეთ მონობლოკის ექსპლუატაციას ელექტრომაგნიტური ველების წყაროებთან ახლოს.
- დაიცავით მონობლოკი დარტყმისა და ვიბრაციის ზემოქმედებისგან.
- არასოდეს გამორთოთ ან გადატვირთოთ მონობლოკი ინფორმაციის მატარებელთან (მყარ დისკთან) მიმართვის პროცესში, რასაც თან ახლავს შესაბამისი ინდიკატორების ნათება, რადგან ამან შეიძლება გამოიწვიოს ინფორმაციის დაკარგვა ან მოწყობილობის დაზიანება. არ ჩართოთ მონობლოკი მისი გამორთვიდან მინიმუმ 5 წამის განმავლობაში. გამორთვისთანავე მონობლოკის ნაჩქარევმა ჩართვამ შეიძლება გამოიწვიოს მისი დაზიანება.
- მონობლოკი დაცული უნდა იყოს ნესტისგან, წვიმისგან, მტვრისა და ჭუჭყისგან.
- მოერიდეთ მონობლოკის გამოყენებას ჭექა-ქუხილის დროს, ასევე გამორთეთ კვების კაბელი ქსელიდან მოწყობილობის დაზიანების თავიდან ასაცილებლად.
- არ განათავსოთ მონობლოკი მოძრავ ობიექტებსა და არამყარ ზედაპირებზე, საიდანაც იგი შეიძლება გადმოვარდეს. ამან შეიძლება გამოიწვიოს მოწყობილობის სერიოზული დაზიანება და ადამიანების ტრავმირება.
- მონობლოკის კორპუსზე არსებული კონსტრუქციული ხვრელები განკუთვნილია ვენტილაციისთვის. სისტემის საიმედო მუშაობის უზრუნველსაყოფად და მისი გადახურებისგან დასაცავად, არასოდეს დაფაროთ ან დაახშოთ ისინი.
- არ დაუშვათ მონობლოკის კორპუსის ხვრელებში რაიმე საგნების მოხვედრა, რადგან ამ საგნებმა შეიძლება გამოიწვიოს მოკლე ჩართვა, რაც თავის მხრივ ხანძრის ან ელექტროშოკის მიზეზი გახდება.
- არ სცადოთ მონობლოკის დამოუკიდებლად მოდიფიცირება ან შეკეთება, ვინაიდან კორპუსის გახსნამ ან მოხსნამ შეიძლება დაგაყენოთ ელექტროშოკის რისკის ქვეშ.
- არ გამოიყენოთ სხვა ადაპტერები, გარდა კომპლექტში არსებულისა. სხვა ადაპტერების გამოყენება ქმნის აალების ან აფეთქების რისკს.
- თვალი ადევნეთ, რომ კვების კაბელი და მიერთებული პერიფერიული მოწყობილობების კაბელები არ იყოს მოჭყლეტილი და მათზე არ იდოს მძიმე საგნები. სადენების მოჭყლეტა აუცილებლად გამოიწვევს მათი მომსახურების ვადის შემცირებას და შეიძლება შექმნას ხანძარსაშიში სიტუაცია.

- მოწყობილობა არ არის განკუთვნილი კომერციული მიზნებისთვის გამოსაყენებლად.
- მოწყობილობა არ არის განკუთვნილი ბავშვებისათვის, აგრეთვე შეზღუდული ფიზიკური, სენსორული ან გონებრივი შესაძლებლობების მქონე პირთათვის გამოსაყენებლად, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მათზე ხორციელდება კონტროლი მათი უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირების მიერ. არ მისცეთ ბავშვებს მოწყობილობით თამაშის უფლება.
- შემდეგ სიტუაციებში დაუყოვნებლივ გამორთეთ მონობლოკი კვების წყაროდან და მიმართეთ კვალიფიციურ მომსახურე პერსონალს:
 - თუ კვების კაბელი ან კონექტორი დაზიანებულია ან აქვს დეფექტები;
 - თუ მონობლოკზე მოხდა წყლის პირდაპირი ზემოქმედება;
 - თუ მონობლოკი დავარდა ან მისი კორპუსი დაზიანდა;
 - თუ ყველა ინსტრუქციის დაცვის მიუხედავად, მონობლოკი ნორმალურად არ მუშაობს.
- წვდომა იმ დენის როზეტთან, რომელშიც ერთდება კვების კაბელი, არ უნდა იყოს შეფერხებული, ხოლო თავად როზეტი უნდა მდებარეობდეს მოწყობილობის მომხმარებელთან რაც შეიძლება ახლოს. აღჭურვილობის კვებიდან გათიშვის აუცილებლობისას, აუცილებლად გამოიღეთ კვების კაბელი როზეტიდან.
- არ მიაერთოთ მონობლოკის ადაპტერთან სხვა არანაირი მოწყობილობა.
- როზეტიდან კვების კაბელის ჩანგლის გამოერთებისას, მოქაჩეთ ჩანგალს და არა თავად კაბელს.
- არ განათავსოთ მოწყობილობა ისეთ ადგილას, სადაც კვების კაბელზე შეიძლება ვინმემ ფეხი დააბიჯოს.
- ელექტროდამაგრძელების გამოყენებისას თვალი ადევნეთ, რომ მასზე მიერთებული მოწყობილობების მიერ მოხმარებული დენის ჯამური ძალა არ აღემატებოდეს დამაგრძელებისთვის დასაშვებ მაქსიმალურ მნიშვნელობას. ასევე დარწმუნდით, რომ კვების როზეტზე მიერთებული ყველა მოწყობილობის დენის ჯამური ძალა არ აღემატება მცველის (დამცველის) ნომინალურ ძალას.
- რათა არ გადააჭარბოთ კვების როზეტების, გამანაწილებლების ან ელექტრო ბლოკების დასაშვებ დატვირთვას, ნუ მიაერთებთ მათზე ზედმეტად ბევრ მოწყობილობას. სისტემის საერთო დატვირთვა არ უნდა აღემატებოდეს გამანაწილებელი წრედის ნომინალური მნიშვნელობის 80%-ს. კვების გამანაწილებლის (დამაგრძელების) გამოყენებისას დატვირთვა არ უნდა აღემატებოდეს მისი ნომინალის 80%-ს.
- სანამ ქსელური ადაპტერის ჩანგალს ელექტროროზეტში შეაერთებდეთ, დარწმუნდით, რომ იგი სათანადოდ არის დამიწებული. არ შეაერთოთ ჩანგალი დაუმიწებელ როზეტში.

უსაფრთხოების ზომები გარე მოწყობილობების მიერთებისას

- მონობლოკის პორტებთან გარე მოწყობილობების მიერთებისას აუცილებელია ვიზუალურად გააკონტროლოთ შესაერთებელი პორტის შერჩევის სისწორე. შეუსაბამო პორტში მიერთების მცდელობამ შეიძლება გამოიწვიოს თქვენი მონობლოკის სერიოზული დაზიანება! ამ ტიპის გაუმართაობა არ ექვემდებარება საგარანტიო მომსახურებას.
- ნუ დაქაჩავთ მიერთებულ კაბელებს, თუ გასურთ მონობლოკის გადაადგილება ან მასთან პერიფერიული მოწყობილობის მიახლოება.
- ინტერფეისის კაბელების მიერთება უნდა განხორციელდეს მხოლოდ მაშინ, როდესაც მონობლოკიც და გარე მოწყობილობებიც სრულად არის გათიშული ელექტროკვების ქსელიდან.